ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-168

" 25 " იანვარი 2017წ.

ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, წყალტუბოს ქუჩა №12, წყალტუბოს ქუჩა №14-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდები: №№01.13.04.020.049, 01.13.04.020.048, 01.13.04.020.020) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 12 იანვრის №2 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, წყალტუბოს ქუჩა №12, წყალტუბოს ქუჩა №14-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდები: №№01.13.04.020.049, 01.13.04.020.048, 01.13.04.020.020), განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=4,9.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და. გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური

(ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი". TBCBGE22. ანგარიში: GE31TB7002533030100087.) 57 132.24 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ასოცდათორმეტი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

სალაროს შემოსავლის ორდერი
CASH DEPOSIT ORDER

2698005515

GEL

თიბისი ბანკი
TBC BANK

თარიღი 12/06/2019 Date

12/06/2019 2:53:05 PM

შემომტანი Depositor	რამინ დავითაძე 01008020929 10-12-1968,01008020929 ასლი
მიმღები ბანკი, კოდი	ს.ს. "თიბისი ბანკის" დილუბის ფილიალი, TBCBGE 22
მიმღები Receiver	ქ.თბილისის მერია
თანხა სიტყვიერად,ვალუტა Bank name, code Amount in words,currency	ორმოცდაჩვიდმეტი ათას ას ოცდაცამეტი ლარი 00 თეთრი
შემოტანის დანიშნულება Description	ზონალური შეთანხმებ მოსაკრებელი (დიდუბის რ-ნი, წყალტუბოს ქ. N:12 დაN: 14 მიწის ნაკვეთ. საკად. კ. 01.13.04.020.049; 01.13.04.020.048; 01.13.04.020.020)

დებეტი Debit: 1003

კრედიტი Credit: GE31 TB70 0253 3030 1000 87

თანხა ციფრებით
Amount in figures: 57,133.00 GEL

Copy

თიბისი ბანკი TBC BANK BCBGE22 018023

მოლარე
Cashier

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.